„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

2021 წელი • №3-4 (9521-22) • 1-28 თებერვალი • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

არქიმანდრიტ მელქისედეკს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

31 იანვარს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიამ წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის და სენაკში, მენჯის მთავარანგელოზთა სავანეში მოღვაწე წმ. ალექსი ბერის (შუშანია) ხსენების დღე აღნიშნა.

შუშანიების სავანეში, სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ღვთისა და ერის წინაშე მსახურებაში ხანგრძლივი ღვაწლის, მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის მონასტრის, ალექსი ბერის სახელობის ბაზილიკური ტაძრის, წმინდა ალექსი სენაკელის სახელობის მუზეუმის აღმშენებლობისა და ალექსი შუშანიას ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი უმნიშვნელოვანი წვლილისთვის, მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, არქიმანდრიტ მელქისედეკს (მიქავა), სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

მუნიციპალიტეტის მერმა, არქიმანდრიტ მელქისედეკს, საპატიო სენაკელის სიგელი და მედალი სიმბოლურად დღეს, ალექსობის დღესასწაულზე, გადასცა.

ვახტანგ გადელიამ გაწეული ღვაწლისთვის, ასევე მადლობა გადაუხადა მენჯის მთავარანგელოზთა მონასტერში მოღვაწე წმინდა ალექსი ბერის შთამომავალს, მთავარანგელოზთა სავანის მოამაგეს, მონაზონ ზოიას (შუშანია) და მადლობის სიგელი გადასცა.

*** სენაკში 100 აღსაზრდელზე გათვლილი მესამე საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება.**

*** „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" მიზანი მოსახლეობის პრობლემებზე რეაგირებაა.**

*** ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულისათვის 68 000 ლარი გამოიყო.**

*** პროგრამის ფარგლებში ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულს 32 000 ლარი მოხმარდება**

*** ზემო ჭალადიდი ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული ადმინისტრაციული ერთეული იქნება**

მასშტაბური პროექტები

სენაკის მუნიციპალიტეტში, წლის მასშტაბური პროექტის განხორციელება იწყება.

მუნიციპალიტეტს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღი შეემატება.

ქალაქ სენაკში, ელიავას ქუჩაზე, აშენდება ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი, კომფორტული და კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 100 აღსაზრდელზე გათვლილი, ორსართულიანი სააღმზრდელო დაწესებულება - მესამე საბავშვო ბაღი.

შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმ ლოკაციაზე იმყოფებოდა, სადაც მესამე საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება და გაეცნო პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებს.

უპრეცედენტო მასშტაბის პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ახალსოფელი

სენაკის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 62 პროექტი განხორციელდა.

პროგრამის ფარგლებში, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულისთვის 32 000 ლარი გამოიყო.

ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისულაში, საჟვანიოს უბანსა და სოფლის ცენტრში მოეწყო გარე განათების სისტემა, სოფელ ახალსოფლის ცენტრში — ატრაქციონი, საგადელიოს უბანში რეაბილიტირდა ხიდ-ბოგირი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" სოფლად ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ერთ-ერთ მთავარი საშუალებაა. გადაწყვეტილებას კი, კონკრეტულად რომელი პრობლემაა მოსაგვარებელი, თავად მოსახლეობა იღებს.

ნოსირი

სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულისთვის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 68 000 ლარი გამოიყო.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდა: სოფელ შუა ნოსირში მოეწყო გარე განათების სისტემა, რესტავრირდა მემორიალი, შემოიღობა საბავშვო ბაღის ტერიტორია და მოეწყო საჩრდილობელი; გარე განათების სისტემა დამონტაჟდა ასევე ნოსირში, საოდიშარიოსა და საკილასონიოში; საოდიშარიოსა და სასიმონიოს უბნებში დასრულდა სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; საოდიშარიოს უბანში ასევე რეაბილიტირდა ხიდი; საბესელიოს უბანში - მინი სპორტული მოედანი; სასოლომონიოს უბანში მოეწყო მილხიდი.

ხელისუფლების მიერ დანერგილი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" არის საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ მოსახლეობის საჭიროებებსა თუ პრობლემებზე რეაგირება დროულად მოხდეს და თითოეული პროექტი მოქალაქეებზე იყოს გათვლილი

ზემო ჭალადიდი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა (FRLD) - ფაზა 2" პროექტის ფარგლებში, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტურისტული სივრცის მოწყობის კუთხით მიმდინარე და განხორციელებულ სამუშაოებს გაეცნო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპიკნიკე და საკემპინგე ლოკაციების მოწყობის სამუშაოები.

დასრულებულია ბორანამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და გარე განათების თანამედროვე სისტემის მონტაჟი.

განახლებული ინფრასტრუქტურით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური, მათ შორის, ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სივრცე შეემატება.

პროექტი საქართველოს მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტურუქტურის სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

გაგრძელება

სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერთან

ჟიული შარტავას სახელობის მერიის სხდომათა დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებთან, მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალური ა(ა).ი.პ-ებისა და შპს-ების დირექტორებთან, სამუშაო შეხვედრა გამართა.

მუნიციპალიტეტის მერმა მოისმინა ინფორმაციები ინფრასტრუქტურული პროექტების, ზედამხედველობითი ღონისძიებების მიმდინარეობის, გამოცხადებული ტენდერების, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მდგომარეობის, მიმდინარე და დაგეგმილი სოციალური და კულტურული აქტივობების შესახებ.

ვახტანგ გადელიამ მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის პოზიციაზე, სლავა კილასონია წარადგინა.

სამუშაო შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის ერთობლივად გასატარებელი ღონისძიებები, ვაქცინაციის პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართულობა, რადგან იმუნიზაცია ვირუსისგან დაცვის ეფექტური, უსაფრთხო და უალტერნატივო საშუალებაა.

აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული, კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების 200 ლარიანი პროგრამის შემდეგ, მუნიციპალიტეტში, 60 წელს გადაცილებული მოქალაქეების ვაქცინაციის მაჩვენებელი 60%-ით გაიზარდა.

წახალისების პროგრამა თებერვლის თვეშიც გრძელდება. პროგრამით სარგებლობა ახლა უკვე 50 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ.

სამუშაო შეხვედრაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, თითოეულ სამსახურს მომავალი კვირის მანძილზე განსახორციელებელი სამუშაოები განუსაზღვრა.

*** სენაკის მერი ვახტანგ გადელია მიღებაზე მოქალაქეთა საჭიროებებს ეცნობა.**

*** ნინო ვიბლიანმა და ვახტანგ გადელიამ იმუნიზაციის გააქტიურებისათვის ახალსოფლის მოსახლეობას მთავრობის წამახალისებელი პროგრამები გააცნეს.**

*** თემატური ღონისძიება წიგნის საჯარო კითხვის დღეს მიეძღვნა.**

8 სენაკის მერი ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ახალ ინიციატივებს სახავს.

მიეძღვნა წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს მიეძღვნა, ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით გამართული თემატური ღონისძიება.

ახალგაზრდული თეატრიის „ფიროსმანი" ნორჩმა მსახიობებმა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება წარმოადგინეს.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მკითხველის წიგნთან დაბრუნების აუცილებლობას.

შეხვედრა საყოველთაო ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში

საყოველთაო ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, იმუნიზაციის გააქტიურებისთვის მთავრობის მიერ შემუშავებული წამახალისებელი პროგრამები, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, ნინო ვიბლიანმა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ გააცნეს.

პრემიერ მინისტრის ინიცირებითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მოქმედებს ფულადი წახალისების პროგრამა, რომლის ფარგლებში, 50 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეები პირველ აცრაზე - 200 ლარს, ხოლო დამატებით, ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში - 100 ლარიან დანამატს მიიღებენ. წახალისების პროგრამა თებერვლის თვეშიც გრძელდება.

შეხვედრაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა, ანა ჭიჭაღუამ, ადგილობრივებს, მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება გააცნო და იმუნიზაციის ცენტრების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

ორშაბათის თათბირი მუნიციპალიტეტის მერთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, სამუშაო კვირა ორშაბათის ტრადიციული თათბირით დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერმა მერიის სამსახურების ხელმძღვანელებისგან, მუნიციპალური ა(ა).ი.პ-ებისა და შპს-ების დირექტორებისგან მოისმინა დეტალური ინფორმაციები გასულ კვირას განხორციელებული აქტივობებისა და არსებული საჭიროებების შესახებ.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო სექტორებში დაგეგმილ პროექტებს, ზედამხედველობითი ღონისძიებების მიმდინარეობას, ახალ ინიციატივებს, სამოქმედო გეგმების განხორციელების კონცეფციებს.

„ჩვენს მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობს ძირეული ძვრები ეკონომიკური გაჯანსაღების, კონკურენტუნარიანი მასშტაბური პროექტების განხორციელების, ინვესტიციების მოზიდვის, საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ყველა სხვა სეგმენტის განახლებისა და წინსვლის თვალსაზრისით.

ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა მუნიციპალიტეტისა და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი ყველა სექტორის განვითარებისკენ, საზოგადოებისთვის სასიკეთო პროექტების განხორციელებისკენ უნდა იყოს მიმართული" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხებზე

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ მოქალაქეთა მორიგი მიღება გამართა.

ადგილობრივებმა მერთან მათთვის საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.

მუნიციპალიტეტის მერი მოქალაქეების პრობლემებს გაეცნო და კომპეტენციის ფარგლებში, საკითხების გადაჭრა შესაბამის სამსახურებს დაავალა.

მოქალაქეთა მიღება ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა.

ტრენინგი თემაზე - მუნიციპალიტეტის როლი ეკონომიკურ განვითარებაში

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა -ფაზა 2 „ ის ფარგლებში, ქალაქ ბათუმში, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმოდგენლებთან, თემაზე - „მუნიციპალიტეტის როლი ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში", ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგ-შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული ადგილობრივ დონეზე, მუნიციპალიტეტების როლი ეკონომიკის განვითრებაში, შეფასების ინსტრუმენტები, მუნიციპალიტეტების საინვესტიციო პოტენციალი და გამოწვევები, ბიზნესის მხარდამჭერი მექანიზმები.

ტრენინგს, სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროექტი ხორციელდება საქართველოს რეგიონალური განვითრებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მხარდაჭერით.

ენერგეტიკული სექტორის წინსვლისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის წარმომადგენლებს - რეგიონალური პროექტების ხელმძღვანელს, ირაკლი სულხანიშვილს და ექსპერტ ანჟეი კლიმჩკს შეხვდა.

შეხვედრაზე იმსჯელეს ენეგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის 5 წლიანი პროექტის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის წინსვლას.

შეხვედრაზე სამომავლო თანამშრომლობის გეგმები დაისახა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მადლობა გამოჩენილი ყურადღებისათვის

მაქვს ძალიან რთული მდგომარეობა. მყავს I ჯგუფის ინვალიდი შვილი, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. მუდმივად გვჭირდება წამლები და მოვლის სხვადასხვა საშუალებები, რაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

მინდა ყველას ვამცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას გულისხმიერი დამოკიდებულება შეჭირვებული ადამიანებისადმი. ჩემი თხოვნა გაიზიარა ასევე სოციალური სამსახურის უფროსმა ნატალია ხუბუამ, საკრებულოს წევრმა საბა ოდიშარიამ.

მინდა გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს, სენაკის მერიას და საკრებულოს ჩემი ოჯახის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

მაგდანი უგილავა,
ჭავჭავაძის ქ. № 29-ში მცხოვრები

საუკეთესო მაგალითი-ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისა

31 იანვარი წმინდა ალექსი ბერის ხსენების დღეა.1995 წელს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ ალექსი ბერი(შუშანია) წმინდანთა დასში იქნა ჩარიცხული.

ალექსი ბერი სენაკის დიდი მეოხი და შემწეა. იგი ეწეოდა მძიმე, სალოსურ ცხოვრებას, ფეხშიშველი დადიოდა სოფლიდან სოფელში, ეხმარებოდა ქვრივ-ობლებსა და გაჭირვებულებს, ემსახურებოდა გადამდები სენით დაავადებულ, უპატრონო ავადმყოფებს, ქრისტიანულად აპატიოსნებდა მიცვალებულებს.

სიცოცხლის ბოლო წლები მამა ალექსიმ გაატარა დაყუდებულ მოღვაწეობაში. იგი თითქმის აღარ გადიოდა მონასტრიდან და მთელ დროს ატარებდა ლოცვასა და სამწერლო საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა სასულიერო სასწავლებელი დამთავრებული, იგი მაინც გამოირჩეოდა განსწავლულობით და წმიდა მამათა მემკვიდრეობის ღრმა ცოდნით. ალექსი ბერი ათონის წმიდა მთაზე ყოფნის დროს გაეცნო უდიდეს სულიერ მემკვიდრეობას.

მუზეუმში ინახება არაერთი ძვირფასი ხელნაწერი, მამა ალექსის მიერ გადაწერილი. გარდა ამისა მას გამოცემული აქვს სულიერი სწავლანი და მოძღვრებანი, სამეცნიერო მსჯელობანი და ლექსები. ალექსი ბერის სულიერი მემკვიდრეობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი დიდადაა განსწავლული საღვთო საქმეში და სულიწმიდის მადლთანაა ნაზიარები.

წლებია ნეტარხსენებული წინაპრის სახელს უკვდავყოფს და მღვდელმსახურებას ასრულებს არქიმანდრიტი მელქისედეკი მონაზვნებთან ნინა და ზოია შუშანიებთან ერთად. ნინა შუშანია ამჟამად გარდაცვლილია, ზოია შუშანიას თავისი მოღვაწეობით სითბო და სიმშვიდე შემოაქვს ჩვენს გულებში.

მამა მელქისედეკი ტაძარში მოღვაწეობს 1981 წლიდან. 1980 წლამდე იგი მღვდელმსახურებას ასრულებდა გურიაში, ჯიხეთის დედათა მონასტერში (ერისკაცობაში, ომარ მიქავა).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 31 იანვარს სენაკის მერმა, ბატონმა ვახტანგ გადელიამ არქიმანდრიტი მელქიესედეკი საერო — „სენაკის საპატიო მოქალაქის"- ტიტულით დააჯილდოვა. ეს იყო შეფასება მისი თავდადებული მსახურებისა ბერისა და ერისადმი.

ვულოცავთ მამა მელქისედეკს აღნიშნულ ჯილდოს და ჟურნალისტების სახელით მადლობას ვუხდით იმ დიდი შრომისათვის, რაც მან შუშანიების სავანეში დაცული მასალების ერთ წიგნად გამოცემას მოანდომა. წიგნი გამოიცა 1999 წელს, წიგნის რედაქტორია არქიმანდრიტი მელქისედეკი, კონსულტანტი - წილკნელი მთავარეპისკოპოსი მეუფე ზოსიმე, კორექტორ-კონსულტანტი ლია ღვამბერია.

ამასთან მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ არქიმანდრიტი მელქისედეკი არაერთხელ ყოფილა ჩემი საპატიო რესპონდენტი როგორ სატელევიზიო, ასე საგაზეთო რეპორტაჟების მომზადების დროს. ის სიამოვნებით პასუხობდა საბავშვო სტუდიის ნორჩი ჟურნალისტების შეკითხვებს. მოძღვრავდა მათ, უშუალობით და დამაჯერებლობით ნათელს ჰფენდა წმინდანთა ცხოვრებას.

თაობებისათვის დაუვიწყარი იქნება შუშანიას სავანეში მოღვაწე ბერ -მონაზვნების განვლილი გზა, როგორც საუკეთესო მაგალითი ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისა, წინაპართა მემკვიდრეობის დაცვა-გადარჩენისა და უკვდავყოფისა.

მედეა ბაღათურია

ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის ისტორია

ქვემოთ მოცემული წერილი პიროვნების ისტორიასთან ერთად ჩვენი ქალაქის წარსულის მნიშვნელოვან მომენტებს ცხადყოფს.

ქალაქის ისტორია კი მოგეხსენებათ ერთგვარად მოზაიკას ჰგავს, რომელიც სხვადასხვა შტრიხთა ერთობლიობით იქმნება. მოსე ნაროუშვილის ბიოგრაფია ამ მოზაიკის ერთი შტრიხია, თუ ვინმემ იცის, ან აქვს ცნობები, ან კიდევ გააჩნია საინტერესო მასალები ქალაქის ისტორიაზე, პიროვნებებზე, რომელებიც ქმნიდნენ თავიანთი ბიოგრაფიით მატიანეს სენაკისას. გთხოვთ მოგვაწოდოთ რედაქციაში, რათა თითოეული თქვენთაგანის ინფორმაციით სენაკის 150 წლიანი მოზაიკა შევავსოთ და სრულვყოთ. ასე საოჯახო არქივებში დაცულ თუ მეხსიერებას შემორჩენილი ინფორმაციები გახდება საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

ყველაზე დიდი მემკვიდრეობა - მამის გაკეთებული საქმეები

ვფიქრობთ ყველაზე დიდი ფასეულობა ადამიანისთვის მისი წარსულია. თუ საიდან მოდიხარ, ვის ფესვებზე აღმოცენდი, რა ღირებულებით გკვებავდა მშობლები, მათ როგორ იცხოვრეს, რა შექმნეს, რა ტვირთი გადმოგაბარეს მემკვიდრეობით, ცხოვრებაში საგზლად რა გამოგაყოლეს და ა.შ.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ზოგადად ჩვენ უამრავი ნიჭიერი, კეთილშობილი, თავის პროფესიაზე შეყვარებული და მინდობილ საქმეზე თავდადებული, მაძიებელი, აღმშენებელი... ადამიანები გვყოლია. ასეთნი მუდამ უშუალო მემკვიდრეებთან ერთად თაობებს ზრდიდნენ, მაგალითს აძლევდნენ მათ თავიანთი შრომისა და ცხოვრების წესით.

დღეს ერთ-ერთ ასეთ ადამიანზე - მოსე ნაროუშვილზე გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო. მისი ისტორიის გაცნობამ მომცა საფუძველი ზემოთ აღნიშნული -- ყველაზე დიდი ფასეულობა ალბათ წარსულია მეთქი -- მეთქვა. დიახ, შვილებისთვის (და არა მარტო) ყველაზე დიდი მემკვიდრეობა მამის გაკეთებული საქმეებია, პატიოსნად განვლილი გზა. თუ რა საქმეა ეს, რა გზაა – ამაზე ვრცლად მისი ქალიშვილი მოგვიყვება. მანამდე კი გაგაცნობთ ჩვენს მუნიციპალიტეტში, მაშინდელ ქალაქ ცხაკაიაში, საფეიქრო მრეწველობის დაფუძნებისა და მისი შემდგომი განვითარების საქმის სულისჩამდგმელის – მოსე ნაროუშვილის ბიოგრაფიას.

იგი დაიბადა 1970 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში.ამავე სოფელში მიიღო პირველდაწყებითი განათლება, ხოლო საშუალო სკოლა უკვე ახალსენაკში 1926 წელს დაამთავრა, მომდევნო წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიულ ფაკულტეტზე. აღნიშნული 1931 წელს წარმატებით დაამთავრა და სწავლა გააგრძელა მოსკოვის ბოჭკოვან მასალათა კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამ დღიდან მისი კვლევა-ძიების მთავარი თემა ბოჭკოვან მასალათა მექანიკური დამუშავების ტექნოლოგია გახდა. ასპირანტურა დამთავრებული, უფროსი მეცნიერმუშაკის წოდებით, მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა და დაიწყო დაუღალავი საქმიანობა.

მოსე ნაროუშვილი ყოფილა გამორჩეული, ავტორიტეტული პიროვნება, ამასთან პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართული. წლების განმავლობაში იყო ყოფილი ცხაკაიას რაიკომის ბიუროს წევრი, ზუგდიდის სამრეწველო ზონის პარტიული კომიტეტის ბიუროს წევრი, პარტიაში წინასწარ განმხილველ შტატგარეშე კომისიის თავმჯდომარე. მრავალჯერ იყო არჩეული სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატად, რაისაბჭოს აღმასკომის წევრად. იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი.

რაიონულ ხელისუფლებას მისი გარდაცვალების შემდეგ, 1982 წელს დადგენილებაც მიუღია კომბინატის მშენებლობის ინიციატორისა და მისი პირველი დირექტორის მოსე ნაროუშვილის ღვაწლის აღსანიშნავად მემორიალური დაფის მოწყობის შესახებ.

მოსე ნაროუშვილი გარდაიცვალა 1980 წელს 73 წლის ასაკში.

მოსეს მეუღლე ვერა(მავრა) ჩაგანავა – პედაგოგი, 30 წლის მანძილზე სენაკის IV საბავშვო ბაღს ედგა სათავეში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ღვაწლმოსილ ადამიანებს შთამომავლობაც ღირსეული დარჩა,

უფროსი ქალიშვილი გურანდა, სპეციალობით ექიმი – 40 წელი იმუშავა თბილისის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. მეუღლე როლანდ სარჩიმელია – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი. ჰყავს ვაჟიშვილი – ალეკო, რომელიც საუკეთესო – კონსტრუქტორთა ხუთეულშია, არის პატრიარქის მიერ დაჯილდოებული.

ჰყავს მეუღლე და 5 შვილი

უმცროსმა ქალიშვილმა ეთერიმ მამის სპეციალობა აირჩია და დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ხალიჩების სპეციალობით. მუშაობდა ჯერ სენაკის ხალიჩების კომბინატში, შემდეგ საცხოვრებლად თბილიში გადასვლასთან დაკავშირებით მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში განყოფილების გამგედ, სულ 35 წელი. მეუღლე –სოსო მიქაძე, წლების მანძილზე მუშაობდა ვაკის რაიონში განყოფილების უფროსად. ჰყავთ ქალიშვილი ნატო, სპეციალობით ექიმი, მისი მეუღლე -- ლაშა სხიერელი ფინანსთა სამინისტროში ერთ-ერთი განყოფილების უფროსია. ნატოს და ლაშას 2 შვილი ჰყავთ.

როგორც ხედავთ ვერა და მოსე ნაროუშვილების ცხოვრების მთავარ ხაზს, პროფესიონალიზმს მისი შთამომავლობაც აგრძელებს.

ზემოთ აღვნიშნეთ რომ მოსე ნაროუშვილის უმცროსმა ქალიშვილმა მამის პროფესია აირჩია და მისი საქმიანობა გააგრძელა, ამიტომ უპრიანად ჩავთვალეთ მასთან ინტერვიუ. ამჟამად ქალბატონი ეთერი თბილისში ცხოვრობს.

ქალბატონო ეთერ, ცნობილია რომ ჩვენს ქალაქში ხალიჩების ფაბრიკის ამუშავება განსაკუთრებული მოვლენა იყო, ვინაიდან სწორედ საფეიქრო მრეწველობას მან ჩაუყარა საფუძველი. ამ საქმეს თურმე მამათქვენი ედგა სათავეში. მამის საქაღალდეები და თქვენი მეხსიერება ალბათ ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოიცავს. გთხოვთ, გვიამბოთ ბატონი მოსეს ცხოვრება-მოღვაწეობაზე და იმ ნიუანსებზე ხალიჩების კომბინატის დაფუძნებას თან რომ ახლდა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1933 წლის იანვრიდან, მამა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება ტრესტ „საქ. რამის“ ახალსენაკის რამის სადეგომაციო ქარხნის ტექნოლოგის თანამდებობაზე ინიშნება, ხოლო 1942 წლის ოქტომბრიდან დაწინაურებულ იქნა ამავე ქარხნის დირექტორად.

სწორედ რამის სადეგომაციო ქარხნის ბაზაზე დაიწყო ცხაკაიის ხალიჩების ფაბრიკის მშენებლობა.

რამის სადეგომაციო ქარხანა პრიმიტიულ საწარმოს წარმოადგენდა. მას ეკავა 3.5 ჰექტარი ფართობი. მისი მთავარი კორპუსი გაშენებული იყო სწორედ იქ, სადაც შემდეგ კომბინატის ადმინისტრაციული შენობა განთავსდა. ქარხნის კორპუსი წარმოადგენდა ნახევრად კაპიტალურ ერთსართულიან უბრალო ნაგებობას, დაახლოებით 700 კვ.მეტრი საწარმოო ფართით, სადაც იდგა რამის პირველადი გადამუშავების 20-მდე დაზგა-მოწყობილობა, ჰქონდა საკუთარი ორთქლის მეურნეობა, ელექტროქვესადგური და წყალსადენი. ქარხანაში მუშაობდა 170-მდე მუშა-მოსამსახურე, ორცვლად. მიუხედავად მისი ასეთი მცირე მოცულობისა, იგი მაშინ ერთ-ერთ მსხვილ საწარმოოდ ითვლებოდა რაიონში. ეს ქარხანა რამის ღეროდან მიღებული ნედლეულის ქიმიურ მექანიკური გადამუშავების გზით ამზადებდა საფეიქრო მრეწველობისათვის სართავ ნედლეულს. რამის ბოჭკოს კულტურის მოყვანა და მისი გადამუშავება მეტად შრომატევადი იყო. ქარხანა ზარალით იყო დაგეგმილი და სახელმწიფო დოტაციაზე იმყოფებოდა. სამამულო ომის დროს, კერძოდ 1944 წელს, ეს ქარხანა კონსერვირებული იქნა არარენტაბელობისა და რამის ნედლეულის უქონლობის გამო. ხოლო შემდეგ კი ლიკვიდირებული.

*** 30-იანი წლები -- ახალ სენაკში ფუნქციონირებს რამის სადეგომაციო ქარხანა**

*** 1948 წელი -- იწყება ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც 1950 წელს დასრულდა.**

*** 1950 წ. სექტემბერი- მექანიკური ქსოვით მიღებულია პირველი პროდუქცია (ხალიჩა), რომელიც პირველი იყო არა მარტო ცხაკაიასთვის, არამედ მთლიანად ამიერკავკასიისათვის.**

*** 1950-51 წ.წ. ფაბრიკა უშვებს ორი სახის – ლუბერეცის კომბინატიდან მიღებული ესკიზების მიხედვით პროდუქციას.**

რამის სადეგომაციო ქარხნის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მამამ საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისატროს წინაშე დააყენა საკითხი ლიკვიდაციაქმნილ ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ შენობა ნაგებობათა ბაზაზე შექმნილი იყო რამის საფეიქრო წარმოება.

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ გადაწყვიტა ცხაკაიაში გაეხსნა მაქო-კოჭების წარმოება, რომელიც როგორც დამხმარე წარმოება იარსებებდა თბილისში მაუდ-კამვოლის კომბინატთან, იმ ვარაუდით რომ კოლხიდის ზონაში მაქო კოჭებისთვის ხეტყის მასალა ახლოს იქნებოდა. მაგრამ ეს გადაწყვეტა არ აღმოჩნდა რეალური. კოლხიდის ზონის ტყეში მაგარი ჯიშის ხე-ტყის სიმცირის გამო. მიუხედავად ამისა მამის აქტიური მეცადინეობით და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით საქ. ცენტრელურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში საკითხის პრინციპული დაყენებით შემუშავდა წინადადება, ლიკვიდაცია ქმნილი რამის სადეგომაციო ქარხნის ტერიტორიასა და შენობა ნაგებობათა ბაზაზე შექმნილი იყო ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა: ქუთაისის მაუდის ფაბრიკიდან გზაკვალის საქსოვი დაზგების მიღების გათვალისწინებით. ეს წინადადება გამართლებული იყო იმით, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქცია. ფაბრიკამ მიიღო შალის ქსოვილების წარმოებისათვის ახალი დაზგები. მის დასამონტაჟებლად საჭირო გახდა საწარმოო კორპუსების გაფართოება. მშენებლობის დაწყებამდე ფაბრიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ახალი დაზგები დაედგა ხალიჩების საქსოვ საამქროში, რისთვისაც იძულებულნი გახდნენ დემონტაჟი გაეკეთებინათ გზაკვალის (საფენების) საქსოვი 20 დაზგისათვის.

დემონტაჟირებული დაზგების ცხაკაიაში მოწყობისათვის და ხალიჩებისა და გზაკვალის წარმოებისათვის აქ როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სათანადო პირობები არსებობდა, რაც დაადასტურა ავტორიტეტულმა კომისიამ. მთავრობამაც მიიღო 1947 წელს დადგენილება ყოფილი რამის სადეგომაციო ქარხნის ტერიტორიაზე, ამ ქარხნის შენობა ნაგებობათა ბაზაზე ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მოწყობის ორგანიზაციის შესახებ. მალე დამტკიცდა ფაბრიკის მშენებლობის პროექტი 20 საქსოვი დაზგის სიმძლავრით, წლიურად 160 ათასი კვადრატული მეტრი ხალიჩის ნაწარმის გამოშვებით.

(გაგრძელება მე-5 გვ-ზე)

ყველაზე დიდი მემკვიდრეობა - მამის გაკეთებული საქმეები

(დასასრული)

*** 1952 წლიდან ჩვენი ფაბრიკის სამხატვრო სახელოსნოში დამზადებული ესკიზების მიხედვით იწყება პირველი ქართული ხალიჩების სერიული გამოშვება.**

*** 1966 წელს ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკა გარდაიქმნა ხალიჩების კომბინატად.**

*** 60-იანი წლებში არსდება ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკა, რომელიც ხალიჩების საქსოვ ფაბრიკას უქვემდებარდბა. იარსება 1978 წლამდე.**

1948 წლის იანვარში დაიწყო ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა, რომლის მშენებლობის უფროსად დაინიშნა მამაჩემი. მშენებლობა წარმოებდა სამეურნეო წესით. მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკიდან დაზგა-დანადგარების გადმოტანა და მათი სამონტაჟო სამუშაოები.

მამას ენერგიული მეცადინეობით, მოკლე დროში, 1950 წლისთვის გაშენებულ იქნა რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ლამაზი კორპუსი 1700 კვ. მეტრი საწარმოო ფართით, აშენდა სამმართველო აპარატის და მექანიკური საამქროს შენობები, გარაჟი და ა.შ. დამონტაჟდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკიდან გადმოტანილი საფენების 14 საქსოვი დაზგა, მოსკოვის ლუბერეცის კომბინატიდან ჩამოტანილი 4 ჟაკარდული ხალიჩების საქსოვი დაზგა. იმის გამო, რომ ხალიჩების საქსოვი დაზგების მცოდნე სპეციალისტები ადგილზე არ იყო, მოწვეულ იქნა ლუბერცის ხალიჩების კომბინატიდან და ქუთაისის მაუდის ფაბრიკიდან სპეციალისტები, რომლებიც მონდომებით მუშაობდნენ.

1950 წლის იანვრიდან მამაჩემი -- მოსე ნაროუშვილი უკვე ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის დირექტორად დაინიშნა. მან დიდი მუშაობა გასწია ხალიჩების ფაბრიკის ამუშავების , ქართული ხალიჩების ქსოვის რთული ტექნოლოგიის მოკლე დროში ათვისებისა და ადგილობრივი ფეიქართა კადრების შექმნის საქმეში.მიუხედავად დიდი სიძნელეებისა ფაბრიკა ნაწილობრივ ათვისების მიზნით, ამუშავებული იქნა 1950 წლის აგვისტოში, ხოლო სრულფასოვანი პროდუქცია – შალის გზაკვალი მიიღო და გეგმიურ დავალებათა შესრულებას შეუდგა 1950 წლის სექტემბრიდან. პირველად იქნა გამოშვებული მექანიკური ქსოვილის ხალიჩა. ეს იყო ამ სახის პირველი პროდუქცია არა მარტო ცხაკაიასათვის, არამედ მთელი ამირეკავკასიისათვის. მექანიკური ქსოვით ხალიჩის გამოშვება მანამდე მხოლოდ მოსკოვის და ვიტებსკის ხალიჩის კომბინატებში წარმოებდა.

ამ ახალ ფაბრიკაში, მოსე ნაროუშვილის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად, ხალიჩის ქსოვის რთული ტექნოლოგია მალე იქნა ათვისებული, შეიქმნა ადგილობრივ ფეიქართა კადრები. მამას ინიციატივით მოხდა ქარხნის ინჟინერტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. ამასთან მოსკოვში ლუბერცის ხალიჩების კომბინატში სამი თვით მივლინებული იქნა 100-ზე მეტი მუშა და ინჟინერტექნიკური პერსონალი.

1950-51 წლებში ფაბრიკა უშვებდა ხალიჩების მხოლოდ ორ სახეს, მოსკოვის ლუბერცის ხალიჩის კომბინატიდან მიღებული ესკიზების მიხედვით. ფაბრიკის პირველი პროდუქცია მოწონებას იმსახურებდა, მაგრამ ფაბრიკის ხელმძღვანელობა და მისი დირექტორი ამით კმაყოფილი არ იყო. ვინაიდან ეს ხალიჩები არ იყო ქართული ორნამენტებით და ქართული დასურათებებით. მამამ დიდი ღონისძიება გაატარა რომ ფაბრიკას გამოეშვა საქართველოს მდიდარი, მრავალსახოვანი მიმზიდველი ბუნების, საქართველოს გმირული წარსულის, აწმყოს და ბრწყინვალე მომავლის ამსახველი ნამდვილი ქართული ხალიჩა. ფაბრიკაში ჩამოყალიბებული იქნა სამხატვრო სახელოსნო, შეიქმნა მხატვართა მაღალკვალიფიციური კადრი, რომელთაც შეისწავლეს ქართული ორნამენტები, ფრესკები, ქართველი ერის სამხატვრო ხელოვნება და ორი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ 1952 წელს ფაბრიკის სამხატვრო სახელოსნოში დაბადებული ქართული ხალიჩის პროდუქტი წარუდგინა მოსკოვის სამხატვრო საბჭოს განსახილველად, რომელმაც მოიწონა იგი და რეკომენდაცია მისცა მას სერიული გამოშვებისთვის. ქართულად დასურათებულმა ხალიჩებმა მომხმარებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

შემდეგში ჩვენი მეხალიჩეების ნახელავი, ნაციონალური ორნამენტებით დამუშავებული ხალიჩები გაიგზავნა: ბრიუსელში, ირანში, ბელგრადში, ალჟირში, იზმირში, პარიზში, ბაზელში (შვეიცარია) კორიაში, დასავლეთ ბერლინში და სხვა მსოფლიოში გამართულ გამოფენებზე და ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

ადგილობრივი ფეიქართა კადრების მომზადებამ, მათ მიერ ხალიჩის მანქანური ქსოვის ტექნოლოგიის წარმატებით ათვისებამ, ჩვენი ქალაქის ხელსაყრელმა გეოგრაფიულ მდგომარეობამ, აგრეთვე წარმოების ხასიათმა განაპირობა ცხაკაიაში ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის გაფართოების აუცილებლობა. რომლის შესახებ აზრი გამოითქვა ჯერ კიდევ ფაბრიკის დაბადებისთანავე -- 1950 წელს.

მახსოვს მამას მონაყოლი -- საქართველოს მაშინდელი მსუბუქი მრეწველობის მინისტრთან ერთად მოსკოვში მივლინებით მყოფნი როგორ შეხვდნენ საკავშირო მსუბუქი მრეწველობის მაშინდელ მინისტრს, რომელმაც განაცხადა, რომ ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა პატარა წარმოებაა, მაგრამ მომავალში იგი უნდა გავაფართოვოთ, ამიტომ მას ვაკუთვნებთ II კატეგორიასო. ეს დიდი შეფასება იყო, ვინაიდან თვით ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, რომელსაც მაშინ გამოეყო ხალიჩების წარმოება, ეკუთვნოდა მესამე კატეგორიას.

მას შემდეგ მამა ყოველწლიურად აყენებდა საკითხს ფაბრიკის გაფართოების შესახებ. ამისათვის, მას დასჭირდა ბევრი დასაბუთებული წერილიებისა და მიმართვების წერა, პირადი შეხვედრები მთავრობის ხელმძღვანელობასთან. მიზანსაც მიაღწია და საბოლოოდ 1959 წლის დადგენილებით დამტკიცდა ცხაკაიის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის გაფართოება, მისი კომბინატად გადაქცევა 50 ჟაკარდული საქსოვი დაზგის სიმძლავრით.

გაშენდა რკინა ბეტონის კონსტრუქციის 120.000 კვ. მეტრი საწარმოო ფართობის შენობა, სადაც განლაგებული საჩეჩ-სართავი, მოსამზადებელი, საქსოვი და გამომყვანი საამქროები (საფენების საქსოვი საამქროს გამოკლებით, რომელიც გაშენდა მოგვიანებით –1972 წელს) ესქპლოატაციაში გადაეცა მძლავრი საორთქლე მეურნეობა, ცენტრალური მექანიკური სახელოსნო, ელექტრო ქვესადგური 2.5 კოლომეტრი სიგრძის მაღალი ძაბვის საკაბელო ხაზით. ჩამოთვლილი საამქროები ძირითადად დაკომპლექტდა ტექნიკის უკანასკნელი მიღწევის სამამულო და იმპორტული დაზგა-დანადგარებით. კომბინატის საქსოვ საამქროში დამონტაჟდა ორ მაქოიანი „ტექსტიმის“ ტიპის ჟაკარდული 50 საქსოვი დაზგა.

1966 წელს საქსრთველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა გარდაიქმნა ხალიჩების კომბინატად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მამას მონდომებითა და ხელმძღვანელობით ქ. ცხაკაიაში შეიქმნა მეორე საფეიქრო საწარმო – ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების საქსოვი ფაბრიკა. მისი ენერგიული, დასაბუთებული მოთხოვნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1959 წელს მიიღო სპეციალური დადგენილება, რითაც ცხაკაიას მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორია და შენობა-ნაგებობანი გადაეცა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს საფეიქრო წარმოების მოსაწყობად. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ იმავე წლის დადგენილებით აღნიშნული ტერიტორია და შენობა-ნაგებობანი დაუქვემდებარა ცხაკაიას ხალიჩების საქსოვ ფაბრიკას.

ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკა არსებობდა 1978 წლამდე მის ბაზაზე შემდეგ მექანიკური ქარხანა აშენდა.

მამა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კომბინატის მრავალრიცხოვანი კოლექტივისა და საზოგადოებაში.

მას პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია აქტიური მოღვაწეობა. 1968 წლიდან 1976 წლამდე მუშაობდა წყალსადენის მეურნეობის დირექტორად. მისი მუშაობის პერიოდში დიდი ღონისძიება გატარდა წყალსადენის გაფართოების და ქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში. მამას ჰქონდა მიღებული მთავრობის არაერთი ჯილდო.

საკავშირო მასშტაბით ცნობადობის მქონე ხალიჩების კომბინატი სენაკის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახლდათ. ამიტომ ჩვენს რესპონდენტს მადლობას ვუხდით, რომ დრო დაგვითმო და გაიხსენა უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციით დატვირთული ეპიზოდები მამის ცხოვრებიდან და ჩვენი ქალაქის წარსულიდან.

ნინო სართანია



„სიყვარულია მთავარი"

ნომრის სტუმარია სენაკის საპატიო მოქალაქე ბატონი გია მიქაია. იგი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის №154 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელში ავტოშემკეთებელი ზეინკლის სპეციალობით. 1978-80 წლებში - პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, 1980-84 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ეკონომისტის სპეციალობით. 2001 წელს კი ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტი იურისტის კვალიფიკაციით.

1984 -85 წლებში მუშაობდა სენაკის №1 ჩაის ფაბრიკაში, 1985-86 წლებში - ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებაში უფროს ეკონომისტად, 1986-87 წლებში ამავე გაერთიანების საგეგმო განყოფილების უფროსად, 1987-88 წლებში– გაერთიანების მთავარ ბუღალტრად, 1988-89 წლებში აგროსამრეწველო გაერთიანებაში მთავარ ეკონომისტად-მრეწველობის დარგში, პარალელურად სენაკის № 139 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ასწავლიდა საქონელმცოდნეობას.

1989 წელს მუშაობადა სენაკის ჩაის კომბინატში მთავარ ბუღალტრად. 1990-92 წლებში სენაკის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ-სახელმწიფო შემოსავლების ინსპექციის უფროსად, 1993-03 წლებში სენაკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში სხვადასხვა თანამდებობა ზე: საწარმოთა დაბეგვრის განყოფილების უფროსად, ინსპექციის უფროსის მოადგილედ. 2003-06 წლებში სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ –ეკონომიკურ საკითხებში, 2006- 09 წლებში - შპს „ციტადელში" მთავარ ბუღალტრად, 2009 წლიდან დღემდე მუშაობს ქართულ-ჩეხურ საწარმო შპს „კოპოს ელექტროში" ფინანსურ დირექტორად. მუშაობის პერიოდში გავლილი აქვს ქართული და უცხოური სხვადასხვა კურსები. 2001 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კურსები –ფინანსურ აღრიცხვასა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითად პრინციპებში. ფლობს დიპლომს და სერთიფიკატს საერთაშორისო აღრიცხვის მენეჯმენტში და აღრიცხვის თანამედროვე მეთოდებში. ჰყავს მეუღლე, 4 შვილი და 4 შვილიშვილი.

ბატონო გრიგოლ, რას ნიშნავს თქვენთვის იყოთ სენაკის საპატიო მოქალაქე?

ჩემი ცხოვრების შეგნებული ნაწილი სენაკში გავატარე, ბევრგან მიმუშავია ერთგულ და უღალატო ხალხთან. უამრავი მეგობარი მყავს, მოკეთე, ჭირში და ლხინში გვერდით მდგომი, მეც შესატყვისი ძმობა – მეგობრობის გაწევა მჩვევია. ამიტომაც უხინჯოა ჩემი სენაკელობა და თანაქალაქელებისადმი სიყვარული.

იწოდებოდე სენაკის საპატიო მოქალაქედ სხვა სიბრტყეა, სხვა განზომილება, ტვირთია, ოღონდ საპატიო, რადგან მოგაკუთვნეს, გცნეს ღირსად ამ ტვირთის ტარების, შენც უნდა შეძლო, გაამართლო მათი ნდობა. ამას იქით ვალდებული ვარ ჩვენი საყვარული ქალაქის განვითარებაში წილი დავიდო, მონაწილეობა მივიღო სენაკისათვის საჭირო აქტივობებში. შესაძლებლობის ფარგლებში, საჭიროებისას ყოველთვის ყველას გვერდით დავუდგები. ასე რომ, პასუხისმგებლობა ჩემი ამჯერად უფრო აღმატებულია, ვიდრე მანმადე.

თქვენი თაობა წიგნზე ორიენტირებული იყო, თანამედროვენი კი უფრო ტექნიკური სიახლეებით არიან დაკავებული, თქვენი კომენტარი

ცხოვრება ელვის სისწრაფით ვითარდება, სწორედ ახალგაზრდებმა უნდა აუღონ ალღო დროის მდინარებას, არ ჩამორჩნენ მას, რადგან ტექნიკური სიახლეების ეპოქაში ვცხოვრობთ, მათი ვალია ზედმიწევნით ამ სიახლეების ცოდნა. რაც შეეხება წიგნს, მას თავისი მყარი ადგილი ჰქონდა, აქვს და ექნება. წიგნის კითხვას სხვა ხიბლი აქვს, სხვა დატვირთვა. ამ კუთხითაც რჩეულნი არიან ჩვენი ახალგაზრდები.

რას ურჩევდით მომავალ თაობას?

ახალგაზრდობა მაჭარივითაა, სიცოცხლით სავსენი არიან, მათია ქვეყანა. დაღვინდებიან და თავიანთ სიტყვას იტყვიან სამშობლოს აღმშენებლობაში. მამების თაობაზე უკეთესად მოუვლიან მამულ-დედულს. გაუფრთხილდებიან ჩვენს ტრადიციებს, ადათ-წესებს, რადგან ქართული ფენომენი განუმეორებელია. ჩვენ ის ერი ვართ, მეფედ ქალბატონი რომ გვყავდა, ჯერ კიდევ როდის. ჩვენ იმდენი ღირებული ფასეულობები გვაქვს წარსულიდან გამოყოლილი, რომ მათზე შეიძლება სხვებმა ისწავლონ და არა პირიქით. ამიტომ ნურავინ დაიჩემებს გენდერული თანასწორობა გვასწავლოს.

რას ვურჩევდი? მე ასე ვიტყოდი, სიყვარულია მთავარი. ამიტომ შვილებო, გიყვარდეთ ერთმანეთი უპირობოდ, მაშინ შეუძლებელს შეძლებთ, ერთმანეთის მოსმენა-გაგებასაც, პოზიციათა შეჯერებასაც, სიკეთეთა მრავალმხრივ განფენასაც, მტრის გამკლავებასაც...

თქვენი დამოკიდებულება გაზეთ „კოლხეთისადმი"

სენაკი კულტურული, ინტელექტუალური ტრადიციებით გამორჩეული ყოფილა ოდით, ეს ამ სფეროდანაც ჩანს. აქ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ინტელექტუალური ბაზის არსებობამ განაპირობა გაზეთის დაარსება. მე ვიცნობ „კოლხეთის" ისტორიას, ვიცი რა გზა გამოიარეთ, გისურვებთ წინსვლას, მუნიციპალიტეტის ისტორიის შემქმნელ გაზეთს კი თემატურ მრავალფეროვნებას და სიცოცხლისუნარიანობას.

რედაქციისა და ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით მადლობას ვუხდით ბატონ გრიგოლის. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შთამომავლებთან ერთად გედნიერ დღეთა სიმრავლეს.

ბ. სართანია

„დანერგე მომავალი"-ის ფარგლებში

მუნიციპალიტეტის მერიამ ღვაწლითა და დამსახურებებით გამორჩეულ სენაკელებს საპატიო წოდებები მიანიჭა და სიგელები გადასცა. წლის წარმატებული მეწარმის წოდება მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „აგროთემას" დირექტორის მოადგილეს არჩილ კორსავას.

ბატონი არჩილი დღეს ჩვენი სტუმარია. მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოების მართვისა და ეკონომიკის ფაკულტეტი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი..

ბატონი არჩილი გვესაუბრება კოოპერატივ „აგროთემას" საქმიანობის შესახებ.

კელაშვილთან, ტექნიკური დირექტორ დავით მეტრეველთან, კოოპერატივის წევრთან თენგო მეტრეველთან ერთად ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში დავიწყე ლურჯი მოცვის მოშენება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა „დანერგე მომავლის" ფარგლებში კოოპერატივმა „აგროთემამ" 100 000 ლარამდე სახელმწიფო დაფინანსება მიიღო, რომელიც კენკროვანი კულტურის ნერგებისა და თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემისთვის იყო განკუთვნილი. თავიდან მოცვი გავაშენეთ 15 ჰექტარზე, 2020 წელს დაემატა 8 ჰექტარი. პროექტის ფარგლებში კოოპერატივი აწარმოებს ერთმანეთისგან განსხვავებული სახეობის ლურჯი მოცვს (ლეგასი, ბლუკროპი, ბლუგოლდი, ხანაჩოისი და დრაიპერი).

პლანტაციები მოწყობილია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, სწორედ ამის დამსახურებაა მსხვილი კალიბრის მოსავალი, რომელიც განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა.

კოოპერატივი ნერგებით დიდი ბრიტანეთიდან მარაგდებოდა, ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ ბულგარეთის კომპანიასთან "PLANTS 365"-თან. დღეს, როცა ლურჯ მოცვზე მაღალი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე. ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ არამხოლოდ ლურჯ მოცვის ნაყოფს, არამედ მაღალი ხარისხის, სხვადასხვა ჯიშის ნერგებსაც.

„2017 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დირექტორ ჯონდო კეკოოპერატივში დასაქმებულია სოფლის ადგილობრივი მოსახლეობის 100-მდე ოჯახი.



კითხვაზე თუ რა არის მისი წარმატებული საქმიანობის საიდუმლო, ბატონი არჩილი გვპასუხობს- „თითოეულმა ჩვენთაგანმა საქმეში ჩააქსოვა მთელი გული, გონება, ცოდნა, გამოცდილება და თავდადებული შრომა. ვთვლი, რომ შრომითა და მონდომებით ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი. მთავარია, გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ.

P.S. გაზეთ „კოლხეთის" სახელით ვულოცავთ ბატონ არჩილს საპატიო წოდებას, ვუსურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა მ. გერგაია

შპს სენაკის პოლიკლინიკური გაერთიანება

შპს სენაკის პოლიკლინიკური გაერთიანება მდებარეობს ქ. სენაკში, ცოტნე დადიანის ქუჩა № 17-ში.

დაწესებულების ხელმძღვანელია ავთანდილ ლომია, დინჯი, თავის საქმის ზედმიწევნით მცოდნე. ბატონმა ავთანდილმა დაიწყო მუშაობა ქირურგად, 2000 წლიდან პარალელურად არის დაწესებულების დირექტორი.

პოლიკლინიკური გაერთიანება შეიქმნა კურორტ მენჯის ბალნეოლოგიური საავადმყოფოს ბაზაზე.

90-იანი წლების ბოლოს ცნობილი მოვლენების, დევნილების სენაკში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ორგანიზაცია გამოეყო მენჯს და დაფუძნდა როგორც შპს სენაკის პოლიკლინიკური გაერთიანება.

სამშობიარო განყოფილებას დაემატა პოლიკლინიკური, ქირურგიული და თერაპიული განყოფილებები.

2004 წლიდან ორგანიზაციამ დაიწყო აღორძინება. აქ მუშაობდნენ: შოთა ჩიქობავა, გუგუშა გოგოლაშვილი, ბორის ძაძამია, ვაჟა გეგენავა და სხვები.

საავადმყოფო ფაქტიურად იყო ამორტიზირებული. თანდათან გაიზარდა შემოსავლები, შეიცვალა მუშაკები. მოვიდნენ კვალიფიციური სპეციალისტები: დავით მაჭავარიანი-ქირურგი, განყოფილების უფროსი. ინსტიტუტი დაამთავრა სანკტ-პეტერბურგში(ლენინგრადი), მურმან ბაბილუა-ურولოგი, თამაზ სპირანტი –ნეიროქირურგი, ხათუნა ლომიძე-კარდიოლოგი, ვაჟა ხელაია-ცნობილი ექოსკოპისტი. აღსანიშნავია რენტგენოლოგის კოტე ნასარაიას, ბუღალტრის დარეჯან ქადარიას მუშაობა.

2013 წლიდან დაიწყო საავადმყოფოს გადაიარაღება. რენტგენის ექოსკოპიის და ხელოვნური სუნთქვის ახალი აპარატებით აღიჭურვა დიაგნოსტიკური ლაბორატორია.

მიმდინარე წელს შეძენილ იქნა ანესთეზიის ახალი აპარატი, რენტგენის ციფრული აპარატი. აპარატები შეძენილია სახელმწიფო ტენდერით.

კლინიკური დიაგნოსტიკური განყოფილების ხელმძღვანელია თამარ გეგენავა, რომელიც მუშაობს 1989 წლიდან. დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით.

საავადმყოფოში კეთდება ყველა სახის ქირურგიული ოპერაცია. პაციენტები მოდიან სამეგრელო-ზემო-სვანეთის რაიონებიდან: ხობიდან, ჩხოროწყუდან ფოთიდან.

მოხდა საავადმყოფოს ინფრასტრუქტურული რეკონსტრუქცია, გაკეთდა ახალი სახურავი, გათბობა, ჟანგბადის ცენტრალური მიწოდება, ქირურგიული ბლოკისა და რეამინაციული პალატის ვენტილაცია.

დრეფნები, პალატები, კედლები მოპირკეთებულია საჭიროების მიხედვით, გაშლიფული ქვებით.

საავადმყოფოს მეზობლად ვცხოვრობ და ვხედავდი სახურავის გადახურვას გულდასმით როგორ ამოწმებდა ბატონი ავთანდილი.

ბატონმა დათომ გამიკეთა ოპერაცია ფეხზე, ეხმარებოდა მედიცინის და ქალბატონი მაია მიქავა. რასაკვირველია ოპერაცია კარგად ჩატარდა.

მახსოვს ასეთი დეტალიც: ხანდაზმულმა დედაჩემმა მოიტეხა მენჯის ძვალი(დავარდა). ბატონები: ქირურგი ბაჩანა ნადარეიშვილი და და ავთანდილ ლომია შემოვიდნენ ავადმყოფთან და აუცილებელი დარიგებები მომცეს.

დაწესებულების შენობაში იდეალური სისუფთავეა, კედლები, დერეფნები მოპირკეთებულია გაშლიფული ქვით, ყველგან სინათლე და სისუფთავეა.

ამჟამად მიმდინარეობს შენობის წინა ფასადის ცენტრალური შესასვლელის რემონტი.

ორგანიზაციას მიღებული აქვს 2015, 2016, 2017 წლებში ბიზნესრეიტინგის სერთიფიკატები. ჯილდოები უფროსის კაბინეტში გამოფენილია კედელზე. ბატონ ავთანდილ ლომიას მიღებული აქვს ჯილდო წლის საუკეთესო ხელმძღვანელი, სენაკის მერის მადლობა.

ერთი სიტყვით სამედიცინო დაწესებულება აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და პაციენტებს თავაზობს კვალიფიციურ მომსახურებას.

ზაირა ფაჩულია

„წავიდა მუზა და დამრჩა ლექსი“

გაზეთ „კოლხეთის" მკითხველები იცნობენ ქალბატონ თათუშა ბასილაია-ჭაავას შემოქმედებას. დამსახურებული პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, სენაკის საპატიო მოქალაქე აჯამებს განვლილ გზას და ნოსტალგიის მიუხედავად იმედის სხივს ეძებს მომავალში. ქალბატონი თათუშა უფალს სთხოვს მის შთამომავლებს ააცილოს ''ქვეყნად მოვლენილი ყველა სიავე'', თავად კი მისცეს მხნეობა და ძალა.

94 წლის ქალბატონს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმშვიდეს, მის შთამომავლებს კი წარმატებულ სვლას ცხოვრების გზაზე.

ქარი

წუხელის შმაგი ქარი დაქროდა,
ვინ იცის ფიქრით რა არ დამქონდა,
ვინ ვისა მტრობდა, ვინ ვის ყვარობდა,
ვინ ვის სიცოცხლით გულით ხარობდა.
თვითონ ვინ იყო ეს არამკითხე,
მოხეტიალე, ეს შმაგი ქარი,
უმისამართოდ დაწანწალებს და
მისთვის ღიაა ჭორების კარი.
რამდენ ტკბილ ფიქრებს მოეღო ბოლო,
რამდენ ოცნებას, რამდენ სიამეს,
ღმერთო გვაკმარე და აგვაცილე,
ქვეყნად მოვლენილ ყველა სიავეს.
მოვიდა მუზა და დავწერე ლექსი,
წავიდა მუზა და დამრჩა ლექსი,
ჩემი ტვინის და ნიჭის ნაჟური
თქვენზე ნაფიქრი და ნააზრევი.

ღვთის იმედით

რამდენი დღე გამითენე
იებით და ვარდებით,
რამდენი სიხარული
ვნახე ახალგაზრდობით
შვილებით და შვილთაშვილით
ამაყი ვარ, ძლიერი
ზოგჯერ, ხშირად მავიწყდება
მოხუცი რომ ვარ, ხნიერი.
დილას ვიწყებ მოგონებით
ღამეს ძველზე ფიქრებით,
მაგრამ მაინც ღვთის იმედით,-
ამაყი ვარ ძლიერი.

„სამშობლოსთან, უფალთან იყავი განუყოფელი“

გურამ (კოკი) ოდიშარია ნოსირის თემის მკვიდრია. იგი ბავშვობიდანვე წერს. მისი ლექსების ძირითადი თემა სამშობლოს, მშობლიური მიწის სიყვარულია. როგორც თავად ამბობს, ბათუმში ცხოვრების წლებში თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან. ის თვლის რომ, ყოველმა ადამიანმა „ქვეყნის საკეთლდღეოდ“ უნდა იღვაწოს. პოეტს მხედველობის მიღმა არ რჩება -- სადღეისო ყოფის საწუხარი და საფიქრალი. 76 წლის კაცი, ორი შვილის მამა მშვიდობაზე და ადამიანთა კეთილდღეობაზე ოცნებობს. მკითხველს ვთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს. თავად ავტორს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

ია

პაწაწინა იავ
თვალი გაგიღია,
ოღრო-ჩოღრო მთებში
თავი დაგიხრია.
ჩემო სანაქებო!
პაწაწინა ია,
შენ კი გაზაფხულის...
მახარობლად გთვლიან,
ჩემო საოცნებო
ჩემო პაწაწინა,
ამ დაბურულ მხარეს,
ფრთები გაგიშლია.
თავდახრილი დგახარ
რატომ მორცხვობ ია
შენი ნაზი ფრთები,
ცახცახებს და თრთიან
მოგინახავს ტყეში,
გადაშლილი ველი
და მზის ამოსვლასა
მოუთმენლად ელი.

ხავერდოვან ბალახებში
თავი ჩაგიყვია,
ეფერები ამ ბალახებს,
გული გაგიშლია
მოვიხიბლე შენით,
მსურს გაკოცო კიდეც,
შენი სიტურფითა,
ეშხით გული მიცემს
შენ ტურფა ხარ ნაზი,
ტურფა სანაქებო.

შენ მიყვარხარ გულით
და მსურს მოგეფერო.
შენ ნიავი გეფერება,
დილით გკოცნის ცვარი
ფერდობებში, ტყეში, ყველგან,
ღიაა შენთვის კარი.
ქორფა ხარ და ნარნარი
ნაზი, სასიამოვნო.
სიყვარულის ცეცხლი ხარ და
არვინ გადიმტერო.
მზის სხივებში მოქათქათე
ჩემო ნაზო იავ.
ყველა გაქებს, დე იხარე,
შენზე ლექსს მღერიან.

დიდება ღმერთს!

შენ ხარ ტიტანი –დაუძლეველი,
გიგანტიც, მძლეთა-მძლე,
ნაამაგარი!
შენა ხარ ჩვენი კეთილმსურველი,
ჩვენ ამ სამყაროს შენით შევხარით.

ყოვლისშემძლე ხარ,
თანაც ერთგული,
ამ დედამიწის, ქვეყნის მფლობელი
თესავ სიკეთეს შენ ხალხთა შორის,
შენ ჩვენთანა ხარ განუყოფელი.

ჩვენს სულხორცში მზისებრ ანათებ,
ძარღვებში გვიჩქეფს შენი სახელი.

შენ ჩვენ გვიყვარხარ,
როგორც სიცოცხლე,
შენა ხარ ჩვენი ერთგულმფარველი.

უნდა გიყვარდეს
უნდა გიყვარდეს ამ ქვეყნად
შენი ქალაქი, სოფელი,
სამშობლოსთან, უფალთან
იყავი განუყოფელი.

უნდა გიყვარდეს მშობელი მხარე...
სიცოცხლის ფასად სამშობლო შენი,
იბრძოლე ქვეყნის საკეთილდღეოდ
მას შეალიე ცხოვრების დღენი.

გიყვარდეს შენი მოყვარ-მოკეთე,
უფალი გრძნობით, შენი მფარველი.
მათ ეთაყვანე, პატივი ეცი,
არ შეირცხვინო ქვეყნად სახელი.

გულით გიყვარდეს ამ ქვეყანაზე...
მშობელი მიწა, შენი სამყარო.
თესე სიკეთე შენ ხალხთა შორის,
თუ გსურს,
ამ ქვეყნად რომ გაიხარო.

რადგან მოხვედი ამ ქვეყანაზე
სიკეთე თესე და სიყვარული.
იყავ კეთილი ადამიანი,
იხარე, იყვავე ვით გაზაფხული

ყურადღება!

განჩინება
საქართველოს სახელით

ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების (ცნობის) გამოქვეყნების თაობაზე

25. 01. 2022 წელი. სენაკი

(ამონარიდი განჩინებიდან)



სენაკის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №24021022100456460 1(2/304-2021), დათო კვირტიას განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე. უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთია-სატრანსპორტო საშუალება, ავტომობილი GAZ-67B, ძარის ტიპი-ფაეტონი, საიდენტიფიკაციო ნომერი-უნომრო, ძრავის ნომერი-371, დამზადებულია(გამოშვების წელი)1953 წ: ძრავის მოცულობა -3285 სმ³, სიმძლავრე 40 kw/54hp; დაუტვირთავი წონა -1320 კგ; დასაშვები, მაქსიმალური წონა-1870 კგ; საქართველოში რეგისტრირებული არ არის, განბაჟების შესახებ ინფორმაცია უცნობია, სავარაუდოდ მესაკუთრე იყო გაიოზი(გვარი დაუდგენელი), განმცხადებელთან (დათო კვირტიასთან) სესხის დადების სავარაუდო თარიღია -2014 წელი. ავტომობილი განმცხადებლის განმარტებით, განთავსებულია განმცხადებლის საცხოვრებელ მისამართზე, ქ. სენაკში, ნ. კანკიას ქუჩა 16-ში. ავტომანქანის მეპატრონე, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება ავტომანქანაზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს შესაბამისი საბუთის დედანიც.

სენაკის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე დარეჯან კვარაცხელია

ხსოვნა
ანრი გახარია

ქართველ მხატვართა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი ხელოვანი, საუკეთესო ძმა და მეგობარი, სენაკის სამხატვრო სკოლის დირექტორი ანრი გახარია.

იგი დაიბადა 1942 წელს ქ. სენაკში. ტყუპი ძმების ჰაიკო და ანრის მოვლენამ ამქვეყნად დიდი სიხარული მოუტანა ოჯახს.

ანრი გახარია ქ. სენაკის მესამე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1966 წელს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანრი გახარიას სადიპლომო ნამუშევარს ,,ხორუმი" მაღალი შეფასება მისცა ესპანელმა მხატვარმა და სკულპტორმა პაბლო პიკასომ. ანრი გახარია სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ჰაიკოსთან ერთად მშობლიურ სენაკში დაბრუნდა. ძმებმა მუშაობა დაიწყეს ხალიჩების კომბინატის სამხატვრო სახელოსნოში მხატვარ-დეკორატორებად.

ანრი გახარია, სენაკის სამხატვრო სკოლის დირექტორის პოზიციაზე მუშაობის დროს პროფესიონალ კოლეგებთან ერთად კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მოსწავლეების ესთეტიკური აღზრდის საქმეს. სამხატვრო სკოლა ხატვის ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს აძლევდა შესაფერის მიმართულებას.

სენაკში სამხატვრო გალერეის გახსნამ, რომლის ინიციატორი ვახტანგ ესვანჯია გახლდათ, მოტივაცია მისცა სენაკელ მხატვრებს, მათ შორის ანრი და ჰაიკო გახარიებს გაეშალათ შემოქმედებითი მუშაობა, ამასთან ჰქონოდათ საგამოფენო დარბაზი.

ანრი გახარიას მიერ შესრულებული ქართული ხალიჩების ესკიზები გამოირჩეოდა საინტერესო ფერთა გამით და კოლორიტით. მის ფერწერულ ტილოებზე, გობელენებზე და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე არაერთი სტატია დაიწერა როგორც ქართულ, ისე ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში. ძმები გახარიების ნამუშევრებს აღიარება აქვს მოპოვებული საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებზე.

ანრი გახარია იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, მრავალი დიპლომისა და ჯილდოს მფლობელი, საუკეთესო მეგობარი და თანამდგომი პიროვნება.ჯერაც ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო ხელოვნების სფეროში. ანრის გარდაცვალებამ დიდი ტკივილი განგვაცდევინა სენაკელ კოლეგებს. ვიზიარებთ ოჯახის, მისი ძმის ჰაიკოს, ყველა ახლობელის მწუხარებას.

,,საიდან მოდის და სად მიდის სილამაზე... წავიდა თავის ლამაზ ფერებიან სამყაროში... "ბიჭებიდან" ერთი ბიჭი დააკლდა სენაკს და მის საყვარელ თბილისს..." ვკითხულობთ ფეისბუქის გვერდზე.

მართლაც რომ ლამაზად ცხოვრობდა, ლამაზ ფერებში ხატავდა გარემომცველ სამყაროს, ლამაზი მოგონებები დაგვიტოვა...

ნათელში იყოს!

ზეინაბ ყურაშვილი,
ლერი კართხია,
კოვალი ხუნწარია,
ლეილა სოსელია

დათო იოსელიანის ხსოვნას

მის სახელს ჩვენთვის სხვა სითბო აქვს, მის საქმეს სხვა მნიშვნელობა, მის ცხოვრებას სხვა ფასი, მის ოჯახს სხვა სიყვარული. მის არყოფნას კი ყველასათვის გასაგები ტრაგიკული შინაარსი, რომელიც არაფერია ტკივილის და სინანულის გარდა.

დათო იოსელიანი ისეთი ბუნების კაცი იყო, ღრმად მოხუცებულიც, რომ წასულიყო წუთისოფლიდან, მაინც უდროო იქნებოდა მისი გარდაცვალება, მაგრამ ამ ასაკში, ამ დროს, როდესაც მის შინაგან ენერგიას შენელების ნიშანიც კი არ ეტყობოდა, როცა ასე მხნედ და ძლიერად გამოიყურებოდა, მისი წასვლა თავზარდამცემია თითოეული ჩვენთაგანისათვის.

მას სენაკისა და სენაკელების სიყვარულში ვერავინ შეედრებოდა. აქ იოსელიანების კოლორიტულ ოჯახში დაბადებულს და გაზრდილს თან მიყვება მისი მშობლიური ქალაქის მონატრება და იმედი, რომ მისი ვაჟკაცი ბექა გააგრძელებს მასავით ღირსეულ სენაკელობას.

...წავიდა ჩვენი დათო მის უმშვენიერეს ვაჟკაცთან-ოცი წლის უნახავ ნუკრისთან, არა მარტო სენაკში, მთელ ქვეყანაში გამოჩენილ, ღვაწლმოსილ ადამიანებთან, ღირსეულ დედმამასთან ბატონ ნოდართან და ქალბატონ ვენერასთან.

.. წავიდა ჩვენი დათო მის უამრავ ახლობელთან და მეგობართან, რომელთა ხსოვნასაც სიყვარულით დაატარებდა. წავიდა ისე, რომ არც ქვეყნის ვალი გაიყოლა და არც კაცის.

ვზივარ და ვფიქრობ ცხოვრების მრავალ ქარტეხილგამოვლილი, სვეგამწარებული დროული კაცი, დათოს უახლოესი მეგობარი და მასზე ბევრად უფროსი, თუ როგორ შეეძლო მას ყოფილიყო თავაზიანობით აღსავსე კოლხი კაცი, უსაზღვროდ კეთილი, სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, სამაგალითო მეუღლე და მამა, ერთადერთი დის მუდამ გვერდით მყოფი, უღალატო მეგობარი, უანგარო, პირუთვნელი, ამაყი, შეუვალი, პრინციპული, უმაღლესი რანგის პროფესიონალი-ექიმი, ორგანიზატორი-ექიმი, ორგანიზატორი. იგი მისი არსებით ალამაზებდა და ამდიდრებდა ჩვენს დღევანდელ ყოფას-მისთანები ხომ სამწუხაროდ თითზე ჩამოსათვლელები არიან.

დათო იოსელიანი-ეს სიკეთით სავსე კაცი უკეთილშობილეს საქმეს თავდადებით ემსახურებოდა-როგორც ექიმი პედიატრიც, ასევე ჯანმრთელობის დარგის ორგანიზატორი. იგი სანკტ-პეტერბურგის პედიატრიული სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის 22-ე პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში, № 15 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარ ექიმად, ჯანაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო დახმარების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, თბილისის №5 ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმად, №16 ბავშვთა პოლიკლინიკის მედიცინის ცენტრის დირექტორად, აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული ცენტრის ჯერ ამბულატორიული დეპარტამენტის უფროსად, შემდეგ საპროთეზო-ორთოპედიული სამსახურის უფროსად.

დათოს სახელს დავიწყება არ უწერია-მისი მეუღლე, რომელიც სტუდენტობიდან გვერდით ედგა, დამსახურებული ექიმი, ქალბატონი ქეთინო ცხაკაია იოსელიანების ოჯახის დედა-ბოძი, ღირსეული მეუღლე და დედაა, იგი როგორც მეუღლე და მეგობარი მთელი ცხოვრების განმავლობაში განუყრელად გვერდით ედგა დათოს და მის საყვარელ მეუღლეს ზურგს უმაგრებდა. ამ უდიდესი მწუხარების ჟამს მას გამაგრებას, გაძლიერებას და ოჯახის ენერგიულად გაძღოლას ვუსურვებ.

ერთხელ კიდევ გულში ვიხუტებ დათოს შვილებს რუსუდანს და ბექას, რომლებმც კარგად იციან, რომ ღირსეული მამის შვილობა სასიქადულოდაც დიდია და მოვალეობადაც.

გამხნევებას ვუსურვებ დათოს დას და სიძეს რუსუდან და ზურაბ შენგელიებს, მათ შთამომავლობას.

ვზივარ ჩემს ოთახში, შევყურებ შვილის, მეუღლისა და ძმების გარემოცვიდან მომზირალ დათოს სურათს და მრცხვენია, რომ მის გასაკეთებელ საქმეს ვაკეთებ. უახლოესი, უმცროსი მეგობრის მოსაგონარს ვწერ, თან კი მისთვის კარგად ცნობილი და ღირსეული დიდი პოეტის, მასავით ადრე მოულოდნელად წასული მეგობრისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონებს ვიმეორებ:

შენ მომაკვდავს რომ არ გავდი,
ძმა იყავ ჩემი ჭერის განაყოფი,
შენ ხომ იყავ დარდიმანდი
შენი ძმობით და
კაცობით ვამაყობდი.
სამარეში შენ არ წევხარ,
წახვედი და ისევ შორით
მეშველები
ცისკარივით ჩემი მწე ხარ
და სიკვდილთან მორკინალი
მეჩვენები.

შეხვედრამდე ძმაო დათო!

დამირ კუჭავა

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ნიჭიერი მხატვრის, სამხატვრო სკოლის პირველი დირექტორის

ანრი გახარიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს დარეჯან ფაჩულიას ძმის

მერაბ ფაჩულიას

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთუერია
ჯორესპონდენტები: მაია გერგია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499